



2020 წელს განხორციელებული დეკლარაციების

მონიტორინგის შედეგების ანგარიში

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო 2017 წლიდან ახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც მოწმდება კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული თანამდებობის პირების მიერ ქონებრივ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სიზუსტე და სისრულე.

2020 წელს, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, შემოწმებას დაექვემდებარა დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული და დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოთხოვნილი თანამდებობის პირების დეკლარაციები.

კერძოდ, შერჩეულ თანამდებობის პირთა რაოდენობამ შეადგინა, 5700 - საერთო რაოდენობის 5%, სულ 285 თანამდებობის პირი. ასევე, შესამოწმებელ დეკლარანტთა სიას დაემატა 67 თანამდებობის პირი, რომლებიც სისტემაში აისახა წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, 2020 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 352. მათ შორის, პარლამენტის წევრი - 4 (2 დადებითი, 2 ჯარიმა), საქართველოს მინისტრები და მინისტრის მოადგილეები - 5 (2 დადებითი, 3 ჯარიმა), აფხაზეთის და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მინისტრის მოადგილეები - 7 (4 ჯარიმა, 1 გაფრთხილება, 2 დადებითი), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები - 6 (1 დადებითი, 1 გაფრთხილება, 3 ჯარიმა, 1 შეწყდა), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია - 2 (1 დადებითი, 1 ჯარიმა), საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები - 15 (11 დადებითი, 3 ჯარიმა, 1 გაფრთხილება), სსიპ-ების ხელმძღვანელი პირები - 18 (4 დადებითი, 9 ჯარიმა, 3 გაფრთხილება, 2 - შეწყდა), სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირები - 28 (8 დადებითი, 4 გაფრთხილება, 14 ჯარიმა, 2 შეწყდა), სახალხო დამცველის აპარატი - 1 (1 დადებითი), ბიზნესომბუდსმენის აპარატი - 1 (1 დადებითი), სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი - 1 (1 უარყოფითი), მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები - 161 (57 დადებითი, 13 გაფრთხილება, 88 ჯარიმა, 2 შეწყდა, 1 გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოში), აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა თანამდებობის პირები - 100 (44 დადებითი, 49 ჯარიმა, 6 გაფრთხილება, 1 შეწყდა).

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევითი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, ბიუროს მიერ გამოცხადებულ მოწვევაზე, 2019 წელს არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას და აკადემიური წრის წარმომადგენელს არ შემოუტანია განაცხადი, რის გამოც კომისია ვერ შეიქმნა და შესაბამისად, ბიუროს მიერ 2020 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ შემთხვევითი შერჩევის პრინციპისა და დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე.

მონიტორინგის ფარგლებში სრულყოფილად იქნა შესწავლილი შერჩეულ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, მოხდა მათი შედარება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში დაცულ მონაცემებთან და თანამდებობის პირების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან,

რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თითოეულ თანამდებობის პირზე ჩატარებული წარმოების ფარგლებში.

დეკლარაციების შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი დარღვევები, შედარებით მსუბუქი ხარისხისაა წინა წლებში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებით. ასევე, ზოგიერთ არაარსებით დარღვევაზე და უმნიშვნელო შეუსაბამობაზე კანონში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირებს აღარ დაეკისრათ ჯარიმა და ბიურო მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა ან აღნიშნული ქმედება აღარ იქნა მიჩნეული დეკლარაციის უარყოფითად შეფასების საფუძველად.

შემცირდა უარყოფითად შეფასებული დეკლარაციების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი თითქმის განახევრდა. აღსანიშნავია, რომ თავად დარღვევის ფორმებიც და ხარისხიც ბევრად უფრო მსუბუქია წინა წლებთან შედარებით. მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში დეკლარაციაში დაშვებული შეცდომა უკავშირდება თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მონაცემების არასწორად ასახვას. უარყოფითად შეფასებულ დეკლარაციათა 62%-ს უარყოფითად შეფასება განაპირობა სწორედ ამ ფაქტორმა. ქვემოთ მოცემულია ის ხშირი დარღვევები, რომლებიც გახდა დეკლარაციების უარყოფითად შეფასების საფუძველი, კერძოდ:


- შეუსაბამობა უძრავი ქონების ფართებში (დეკლარანტს მითითებული აქვს დაახლოებითი ფართი და არა რეალური ფართი, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზებში);
- დაუდეკლარირებელი უძრავი ქონება, რომელიც რეგისტრირებულია სამკვიდროს გახსნის შემდეგ და დეკლარანტის მონაწილეობის გარეშე, რის შესახებაც მას მონაცემები არ ქონდა;
- ცდომილება საბანკო ანგარიშების დეკლარაციის შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით ჩაწერილ ნაშთსა და საბანკო ამონაწერში დაფიქსირებულ ნაშთს შორის;

- დაუდეკლარირებელი საბანკო (დამხმარე) ანგარიშები, ან მულტისავალუტო ანგარიშში მხოლოდ ლარის ანგარიშის მითითება;
- შეცდომით დაანგარიშებული მატერიალური შედეგები სასესხო ხელშეკრულებების შემთხვევებში;
- სამეწარმეო საქმიანობის შემთხვევაში, არ ფიქსირდება საწარმოების წილების ან/და ინდივიდუალური მეწარმეობის თაობაზე ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო დაფუძნებიდან დღემდე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს;
- ანაზღაურებადი საქმიანობის ნაწილში დარღვევები: ოჯახის წევრების შემოსავლების არ დაფიქსირება ან შემოსავლების განსხვავებული ოდენობით დაფიქსირება, წლიური შემოსავლის არასწორად/ზეპირად დაანგარიშება და არა დაწესებულების ბუღალტრისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

2020 წლის განმავლობაში შესამოწმებლად შერჩეულ 352 თანამდებობის პირიდან მონიტორინგი განხორციელდა 349 დეკლარაციაზე 3 დეკლარანტზე მონიტორინგი არ დაწყებულა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ისინი წარმოადგენდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს და არ მოხდა მათი განწესება მოსამართლეთებად.

საანგარიშო პერიოდში შემოწმებული 349 თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციიდან:

დადებითად შეფასდა 134 თანამდებობის პირის დეკლარაცია, დაჯარიმდა - 177, გაფრთხილდა - 29 და მონიტორინგი შეწყდა - 8 თანამდებობის პირზე, რის მიზეზსაც წარმოადგენდა ის გარემოებები, რომ რიგ შემთხვევაში, თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადადგომიდან, მისი დეკლარაციის შერჩევამდე, გასული იყო ერთ წელზე მეტი ვადა, თანამდებობის პირი გარდაიცვალა ან თანამდებობის პირთან ვერ მოხერხდა დაკავშირება, ვინაიდან მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდგომ ის საცხოვრებლად იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ამასთანავე, პროკურატურაში გადაიგზავნა - 1 დეკლარაცია. დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების პროცენტული გადანაწილება იხ. დიაგრამა 1.



დიაგრამა 1. მონიტორინგის შედეგები 349 დეკლარაციის შემოწმების შემდეგ

2020 წლის განმავლობაში უარყოფითად შეფასებული თანამდებობის პირების დეკლარაციების შეფასების კრიტერიუმები შემდეგნაირად გადაანაწილდა - 207 უარყოფითად შეფასებულ დეკლარაციიდან:

- 46%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;
- 62% შემთხვევებში არასწორად ან/და შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან/და გამორჩენილი იყო ძველი საბანკო ანგარიშები;
- 33% დეკლარაციაში არ იყო დადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა ან არ იყო მითითებული ძველი საწარმოები, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონიათ;
- 33% არ ქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დადეკლარირებული ხელშეკრულება,

რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისათვის სავალდებულო ზღვარს;

- 57%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დადეკლარირების გამო;
- 72% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;
- 18% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.¹


2020 წლის განმავლობაში დასაბუთებული განცხადების საფუძველზე შემოწმდა 67 თანამდებობის პირი საიდანაც დადებითად შეფასდა 9 დეკლარაცია, დაჯარიმდა - 51, გაფრთხილდა - 6, წარმოება შეწყდა - 1 შემთხვევაში.

შემთხვევითი შერჩევის სისტემით შერჩეული თანამდებობის პირებიდან შემოწმდა 282 დეკლარაცია, საიდანაც დადებითად შეფასდა - 125, დაჯარიმდა - 126, გაფრთხილდა - 23, წარმოება შეწყდა - 7 შემთხვევაში და პროკურატურაში გადაიგზავნა - 1 თანამდებობის პირზე ინფორმაცია. ამასთანავე, 2020 წლის განმავლობაში შემოწმებულ თანამდებობის პირთა შორის მონიტორინგი განხორციელდა 31 საიდუმლო თანამდებობის პირზე, საიდანაც დადებითად შეფასდა - 12 საიდუმლო თანამდებობის პირის დეკლარაცია, ხოლო დაჯარიმდა - 19 საიდუმლო თანამდებობის პირის დეკლარაცია.

გენდერულ ჭრილში, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: მონიტორინგის პროცესში შემოწმდა 74 (21%) ქალი და 275 (79 %) კაცი თანამდებობის პირი, საიდანაც ქალების შემთხვევაში დაჯარიმდა - 34, გაფრთხილდა -7, დადებითად შეფასდა - 30 და წარმოება შეწყდა - 3 შემთხვევაში; ხოლო კაცის შემთხვევაში დაჯარიმდა - 143,

¹ დეკლარაციათა უმეტეს ნაწილში ფიქსირდებოდა აღნიშნული დარღვევების ერთობლიობა და დეკლარაცია უარყოფითად ფასდებოდა მასში სხვადასხვა მონაცემის არასწორად დაფიქსირების გამო.

გაფრთხილდა - 22, დადებითად შეფასდა - 104, წარმოება შეწყდა - 5 შემთხვევაში და ერთ თანამდებობის პირზე მონაცემები სამართალდამცავ ორგანოში გადაიგზავნა. ქვემოთ მოცემულია დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების გენდერულ ჭრილში პროცენტული გადანაწილება (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების გენდერულ ჭრილში პროცენტული გადანაწილება

2020 წლის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგის სფეროში პოზიტიური შედეგი გამოიღო, რასაც მოწმობს ციფრებიც. კერძოდ, 2017-2018 წლების მონიტორინგის შედეგად უარყოფითად შეფასდა შემოწმებულ დეკლარაციათა 80%, ხოლო 2019-2020 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიწია საშუალოდ 55%-მდე. რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია თანამდებობის პირების დეკლარირების პროცესის მიმართ ყურადღების გამოჩენით და სურვილით, სრულყოფილად და სწორად დაადეკლარირონ მათი ქონებრივი მონაცემები რაც ანგარიშვალდებულობის პრინციპის გაზრდას მოწმობს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე 2020 წელს დეკლარაციების მონიტორინგის პროცესი შეჩერდა 2 თვით,

თუმცა აღნიშნულ გარემოებას მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებაზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია, რაც განპირობებული იყო მონიტორინგის პროცედურების მაქსიმალურად ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელების პრაქტიკით.

დანართის სახით მოცემულია მონიტორინგის შედეგები თანამდებობის პირების მითითებით.